




# INNOX

We Do Finance

შპს „ქოულ.ჯი“

ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

შპს „ქოულ.ჯი“

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

### შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა .....3-5

#### *ფინანსური ანგარიშგება*

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება .....6

მოგება- ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება .....7

ფულადი ნაკადების ანგარიშგება .....8

კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება .....9

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები .....10-25

## დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ქოულ.ჯი“-ს ხელმძღვანელობას

### მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „ქოულ.ჯი“-ს (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე ამ თარიღით დასრულებული წლის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, კაპიტალში ცვლილების ანგარიშგებისგან, ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, უტყუარად და სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბერს მდგომარეობით, მის ფინანსურ საქმიანობას და ფულის მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მცირე და საშუალო საწარმოებისათვის (IFRS for SME) შესაბამისად.

### მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარემართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ (IESBA კოდექსი) შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს, გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

### დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ნაწილების ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში.

## დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ქოულ.ჯი“-ს ხელმძღვანელობას

### მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „ქოულ.ჯი“-ს (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე ამ თარიღით დასრულებული წლის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, კაპიტალში ცვლილების ანგარიშგებისგან, ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, უტყუარად და სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის ფინანსურ საქმიანობას და ფულის მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მცირე და საშუალო საწარმოებისათვის (IFRS for SME) შესაბამისად.

### მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლობი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ (IESBA კოდექსი) შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს, გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

### დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ნაწილების ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში.

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- ▶ თანხვედრაშია 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებასთან;
- ▶ მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას და შესაბამისობაშია სათანადო მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან.

## ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობაა შეაფასოს აქვს თუ არა კომპანიას უნარი, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე, განაცხადოს ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ მას არ აქვს რეალური არჩევანი ასე რომ არ მოიქცეს.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

## აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ას-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ას-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- ▶ თანხვედრაშია 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებასთან;
- ▶ მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას და შესაბამისობაშია სათანადო მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან.

### **ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე**

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობაა შეაფასოს აქვს თუ არა კომპანიას უნარი, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე, განაცხადოს ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ მას არ აქვს რეალური არჩევანი ასე რომ არ მოიქცეს.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

### **აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე**

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.


- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშების შესაბამისი შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

6 ნოემბერი 2025

შპს „ინოქსი“ (ს/კ 404539674)

ირაკლი ჭილაძე  
გარიგების პარტნიორი



აუდიტორული ფირმის სარეგისტრაციო ნომერი - SARAS-F-481994

აუდიტორის რეგისტრაციის ნომერი - SARAS-A-509177

რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოეთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

6 ნოემბერი 2025

შპს „ინოქსი“ (ს/კ 404539674)

---

ირაკლი ჭილაძე  
გარიგების პარტნიორი

*აუდიტორული ფირმის სარეგისტრაციო ნომერი - SARAS-F-481994*  
*აუდიტორის რეგისტრაციის ნომერი - SARAS-A-509177*

შპს „ქოულ.ჯი“

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

|                                          | შენიშვნა | 31-დეკ-2024       | 31-დეკ-2023       |
|------------------------------------------|----------|-------------------|-------------------|
| <b>აქტივები</b>                          |          |                   |                   |
| ძირითადი საშუალებები                     | 6        | 9,313             | 2,997             |
| გაცემული სესხები                         | 7        | 60,009,271        | 41,509,388        |
| <b>სულ გრძელვადიანი აქტივები</b>         |          | <b>60,018,584</b> | <b>41,512,385</b> |
| მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან | 5        | 5,529,561         | 2,478,179         |
| ფული და ფულის ეკვივალენტები              | 4        | 72,112            | 576,305           |
| <b>სულ მიმდინარე აქტივები</b>            |          | <b>5,601,673</b>  | <b>3,054,484</b>  |
| <b>სულ აქტივები</b>                      |          | <b>65,620,257</b> | <b>44,566,869</b> |
| <b>ვალდებულებები</b>                     |          |                   |                   |
| მიღებული სესხები                         | 8        | 13,952,415        | 5,737,597         |
| <b>სულ გრძელვადიანი ვალდებულებები</b>    |          | <b>13,952,415</b> | <b>5,737,597</b>  |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები            | 9        | 5,431,755         | 2,904,470         |
| საგადასახადო ვალდებულებები               | 10       | 23,319            | 15,325            |
| <b>სულ მიმდინარე ვალდებულებები</b>       |          | <b>5,455,074</b>  | <b>2,919,795</b>  |
| <b>სულ ვალდებულებები</b>                 |          | <b>19,407,489</b> | <b>8,657,392</b>  |
| <b>კაპიტალი</b>                          |          |                   |                   |
| საწესდებო კაპიტალი                       | 11       | -                 | -                 |
| აკუმულირებული მოგება/(ზარალი)            |          | 46,212,768        | 35,909,478        |
| <b>სულ კაპიტალი</b>                      |          | <b>46,212,768</b> | <b>35,909,478</b> |
| <b>სულ ვალდებულებები და კაპიტალი</b>     |          | <b>65,620,257</b> | <b>44,566,869</b> |

თანდართული ფინანსური ანგარიშგება 6-25 გვერდის ჩათვლით დამტკიცებულია გამოსაშვებად და  
ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 6 ნოემბერს

დირექტორი

ზაზა ბარამიძე

მთავარი ბუღალტერი

ნურბე დიდბერიძე

**შპს „ქოულ.ჯი“**

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

**ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება**

|                                          | შენიშვნა | 31-დეკ-2024       | 31-დეკ-2023       |
|------------------------------------------|----------|-------------------|-------------------|
| <b>აქტივები</b>                          |          |                   |                   |
| ძირითადი საშუალებები                     | 6        | 9,313             | 2,997             |
| გაცემული სესხები                         | 7        | 60,009,271        | 41,509,388        |
| <b>სულ გრძელვადიანი აქტივები</b>         |          | <b>60,018,584</b> | <b>41,512,385</b> |
| მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან | 5        | 5,529,561         | 2,478,179         |
| ფული და ფულის ეკვივალენტები              | 4        | 72,112            | 576,305           |
| <b>სულ მიმდინარე აქტივები</b>            |          | <b>5,601,673</b>  | <b>3,054,484</b>  |
| <b>სულ აქტივები</b>                      |          | <b>65,620,257</b> | <b>44,566,869</b> |
| <b>ვალდებულებები</b>                     |          |                   |                   |
| მიღებული სესხები                         | 8        | 13,952,415        | 5,737,597         |
| <b>სულ გრძელვადიანი ვალდებულებები</b>    |          | <b>13,952,415</b> | <b>5,737,597</b>  |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები            | 9        | 5,431,755         | 2,904,470         |
| საგადასახადო ვალდებულებები               | 10       | 23,319            | 15,325            |
| <b>სულ მიმდინარე ვალდებულებები</b>       |          | <b>5,455,074</b>  | <b>2,919,795</b>  |
| <b>სულ ვალდებულებები</b>                 |          | <b>19,407,489</b> | <b>8,657,392</b>  |
| <b>კაპიტალი</b>                          |          |                   |                   |
| საწესდებო კაპიტალი                       | 11       | -                 | -                 |
| აკუმულირებული მოგება/(ზარალი)            |          | 46,212,768        | 35,909,478        |
| <b>სულ კაპიტალი</b>                      |          | <b>46,212,768</b> | <b>35,909,478</b> |
| <b>სულ ვალდებულებები და კაპიტალი</b>     |          | <b>65,620,257</b> | <b>44,566,869</b> |

თანდართული ფინანსური ანგარიშგება 6-25 გვერდის ჩათვლით დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 6 ნოემბერს

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

ზაზა ბარამიძე

ზურაბ დიდბერიძე

**შპს „ქოულჯი“**

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

**მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება**

|                                           | შენიშვნა | 2024              | 2023              |
|-------------------------------------------|----------|-------------------|-------------------|
| შემოსავალი რეალიზაციიდან                  | 12       | 40,400,270        | 72,684,725        |
| რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება     | 13       | (36,196,118)      | (61,413,376)      |
| <b>საერთო მოგება</b>                      |          | <b>4,204,152</b>  | <b>11,271,349</b> |
| საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები         | 14       | (494,314)         | (357,738)         |
| არასაოპერაციო ხარჯები                     | 15       | (1,387,445)       | (532,980)         |
| არასაოპერაციო შემოსავლები                 | 16       | 5,691,851         | 6,498,478         |
| საკურსო სხვაობით მიღებული მოგება/(ზარალი) |          | 2,289,046         | 288,229           |
| <b>მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე</b>        |          | <b>10,303,290</b> | <b>17,167,338</b> |
| მოგების გადასახადის ხარჯი                 |          | -                 | -                 |
| <b>წმინდა მოგება/(ზარალი)</b>             |          | <b>10,303,290</b> | <b>17,167,338</b> |

**შპს „ქოულ.ჯი“**

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

**ფულადი ნაკადების ანგარიშგება**

|                                                          | შენიშვნა | 2024               | 2023                |
|----------------------------------------------------------|----------|--------------------|---------------------|
| <b>ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან</b>          |          |                    |                     |
| წლის მოგება                                              |          | 10,303,290         | 17,167,338          |
| <b>კორექტირებები:</b>                                    |          |                    |                     |
| საპროცენტო ხარჯი                                         | 15       | 1,214,840          | 532,980             |
| საპროცენტო შემოსავალი                                    | 16       | (2,802,656)        | (2,605,478)         |
| <b>საოპერაციო აქტივების და ვალდებულებების ცვლილება:</b>  |          |                    |                     |
| ცვლილება მარაგებში                                       |          | -                  | 3,428,386           |
| ცვლილება დებიტორულ დავალიანებაში                         | 5        | (3,051,382)        | 5,075,473           |
| ცვლილება საგადასახადო ვალდებულებებში                     | 10       | 7,994              | 30,688              |
| ცვლილება კრედიტორულ დავალიანებაში                        | 9        | 2,527,285          | (1,267,951)         |
| <b>ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან</b>          |          | <b>8,199,371</b>   | <b>22,361,437</b>   |
| <b>წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან</b>   |          | <b>8,199,371</b>   | <b>22,361,437</b>   |
| <b>ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან</b>        |          |                    |                     |
| <b>წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან</b> |          | -                  | -                   |
| <b>ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან</b>           |          |                    |                     |
| შემოსულობები სესხებიდან                                  |          | 11,146,169         | 6,312,006           |
| სესხების დაფარვა                                         |          | (19,849,733)       | (28,737,498)        |
| <b>წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან</b>    |          | <b>(8,703,564)</b> | <b>(22,425,492)</b> |
| ნაშთი წლის დასაწყისში                                    |          | 576,305            | 640,360             |
| <b>წმინდა ზრდა/(კლება) წლის განმავლობაში</b>             |          | <b>(504,193)</b>   | <b>(64,055)</b>     |
| <b>ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს</b>            | <b>4</b> | <b>72,112</b>      | <b>576,305</b>      |

**შპს „ქოულ.ჯი“**

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

**კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება**

|                                                  | საწესდები<br>კაპიტალი | აკუმულირებული<br>მოგება/(ზარალი) | სულ კაპიტალი |
|--------------------------------------------------|-----------------------|----------------------------------|--------------|
| <b>ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b> | -                     | 18,742,139                       | 18,742,139   |
| ცვლილება საწესდებო კაპიტალში                     | -                     | -                                | -            |
| პერიოდის წმინდა მოგება/(ზარალი)                  | -                     | 17,167,338                       | 17,167,338   |
| <b>ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b> | -                     | 35,909,477                       | 35,909,477   |
| ცვლილება საწესდებო კაპიტალში                     | -                     | -                                | -            |
| პერიოდის წმინდა მოგება/(ზარალი)                  | -                     | 10,303,290                       | 10,303,290   |
| <b>ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b> | -                     | 46,212,767                       | 46,212,767   |

## ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

### შინაარსი

|                                                                                  |    |
|----------------------------------------------------------------------------------|----|
| 1. ზოგადი ინფორმაცია .....                                                       | 11 |
| 2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკა.....      | 11 |
| 3. IASB-ს მიერ გამოცემული ახალი ან განახლებული სტანდარტები და განმარტებები ..... | 19 |
| 4. ფული და ფულის ეკვივალენტები .....                                             | 20 |
| 5. მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან .....                                | 20 |
| 6. ძირითადი საშუალებები .....                                                    | 21 |
| 7. გაცემული სესხები.....                                                         | 21 |
| 8. მიღებული სესხები.....                                                         | 22 |
| 9. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები .....                                           | 22 |
| 10. საგადასახადო ვალდებულებები .....                                             | 23 |
| 11. საწესდებო კაპიტალი.....                                                      | 23 |
| 12. შემოსავალი რეალიზაციიდან.....                                                | 23 |
| 13. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება.....                                   | 23 |
| 14. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები .....                                      | 24 |
| 15. არასაოპერაციო ხარჯები .....                                                  | 24 |
| 16. არასაოპერაციო შემოსავლები .....                                              | 24 |
| 17. მოგების გადასახადი .....                                                     | 24 |
| 18. გაუთვალისწინებელი გარემოებები .....                                          | 25 |
| 19. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან .....                                     | 25 |
| 20. მოვლენები საანგარიშო პერიოდის შემდეგ .....                                   | 25 |

## შპს „ქოულ.ჯი“

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

### 1 ზოგადი ინფორმაცია

შპს „ქოულ.ჯი“ (შემდგომში „კომპანია“) არის 2019 წლის 14 ნოემბერს, ს/კ 405364555 საქართველოში რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ქ.თბილისი, ედიშერ მაღალაშვილის ქ.# 4.

კომპანიის 100% -ანი წილის მფლობელი და დირექტორი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არის ზაზა ბარამიძე.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა ქვანახშირის რეალიზაცია, როგორც საქართველოს ტერიტორიაზე, ასევე ექსპორტზე გატანა.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა შეადგენს 7 (2023: 6) თანამშრომელს.

### 2 ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკა

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია არსებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მცირე და საშუალო საწარმოებისათვის (IFRS for SME) მიხედვით.

#### სააღრიცხვო პოლიტიკა

##### შემოსავალი რეალიზაციიდან

შემოსავალი რეალიზაციიდან აღიარება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით, გამოკლებით სავაჭრო ფასდათმობები, ვადაზე ადრე გადახდის ფასდათმობები და მოცულობაზე დამოკიდებული ფასდათმობები.

შემოსავალში აისახება მხოლოდ საწარმოს მიერ საკუთარი სახელით მიღებული ან მისაღები ეკონომიკური სარგებლის მთლიანი ოდენობა. მესამე პირის სახელით მიღებული თანხები, როგორცაა სახელმწიფოს სახელით ამოღებული გადასახადები (მაგ. დამატებული ღირებულების გადასახადი), შემოსავლის ნაწილად არ აღიარება. იმ შემთხვევაში, თუ საწარმო მოქმედებს აგენტის როლში, შემოსავალში აღიარება ხდება მხოლოდ საკომისიო ან ანაზღაურების იმ ნაწილის, რომელიც საწარმოს ეკუთვნის.

მზა პროდუქციის რეალიზაციიდან შემოსავალი აღიარება ხდება მაშინ, როდესაც:

- გადადის საკუთრების რისკები და სარგებელი მყიდველზე;
- კომპანია აღარ ინარჩუნებს საქონელზე არსებით კონტროლს და მართვას; და
- შემოსავლის თანხა და დაკავშირებული ხარჯები საიმედოდ იზომება და არსებობს დიდი ალბათობა, რომ ეკონომიკური სარგებელი შევიდეს კომპანიაში.

ჩვეულებრივ, ეს ხდება საქონლის მიწოდებისას, როდესაც მყიდველს გადაეცემა კონტროლი და საქონელთან დაკავშირებული ყველა არსებითი რისკი და სარგებელი. თუ არსებობს მომხმარებლისთვის საქონლის დაბრუნების უფლება, საწარმო აფასებს მოსალოდნელ დაბრუნებებს

10 -25 გვერდებზე თანდართული შენიშვნები წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

## შპს „ქოულ.ჯი“

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

წარსული გამოცდილებისა და სხვა შესაბამისი ფაქტორების საფუძველზე და შემოსავალს აღიარებს მხოლოდ იმ ნაწილზე, რომლის დაბრუნება არ არის მოსალოდნელი. საწარმო არ ფლობს ცალკე აღრიცხულ „სახელშეკრულებო აქტივებს“. კლიენტებისგან მისაღები თანხები აღირიცხება როგორც სავაჭრო მოთხოვნები, როდესაც საქონელი მიწოდებულია და წარმოიშვა გადახდის უფლება.

### სავაჭრო დებიტორული დავალიანება

დებიტორული დავალიანების აღიარება ხდება, თუ ანაზღაურების თანხა უპირობოდ არის მისაღები მომხმარებლისგან (ანუ მხოლოდ დროის გასვლა აუცილებელი ანაზღაურების გადახდის თარიღის დადგომამდე).

### უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

კომპანიას სამუშაო ვალუტაა ლარი, რადგანაც ეს არის იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, რომელშიც კომპანია ეწევა საქმიანობას. უცხოურ ვალუტაში დაფიქსირებული მონეტარული აქტივებისა და ვალდებულებების გადაფასება საანგარიშგებო თარიღში ხორციელდება ამ თარიღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით. არამონეტარული აქტივები და ვალდებულებები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არ გადაფასდება. საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსები საანგარიშგებო პერიოდში:

|                                       | აშშ დოლარი | ევრო |
|---------------------------------------|------------|------|
| გაცვლითი კურსი 2024 წლის 31 დეკემბერს | 2.81       | 2.93 |
| გაცვლითი კურსი 2023 წლის 31 დეკემბერს | 2.69       | 2.98 |

### ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, საბანკო ნაშთებსა და სხვა მოკლევადიან ლიკვიდურ ინვესტიციებს, რომლებიც ადვილად კონვერტირდება გარკვეული რაოდენობის ფულის სანაცვლოდ და ექვემდებარება ღირებულებაში ცვლილების უმნიშვნელო რისკს.

### ფინანსური აქტივები - პირველადი აღიარება და შემდგომი შეფასება

ფინანსური აქტივი პირველად აღიარდება, შესაბამისად საწარმომ ისინი უნდა შეაფასოს გარიგების ფასით (გარიგების დანახარჯების ჩათვლით, ისეთი ფინანსური აქტივების გარდა, რომლებიც შემდგომში უნდა შეფასდეს რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით), თუ შეთანხმება, თავისი არსით, არ წარმოადგენს ფინანსურ ოპერაციას საწარმოსთვის (ფინანსური ვალდებულების დაფინანსება), ან მისი სახელშეკრულებო კონტრაპენტისთვის (ფინანსური აქტივის დაფინანსება). შეთანხმება ფინანსურ ოპერაციად მიიჩნევა, თუ გადახდა გადავადებულია ბიზნესის ჩვეულებრივი პირობებისგან განსხვავებული პირობებით, როგორცაა, მაგალითად, საქონლის ან მომსახურების მყიდველისთვის უპროცენტო კრედიტის მიცემა, ან დაფინანსება ხდება ისეთი საპროცენტო

## შპს „ქოულ.ჯი“

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

განაკვეთით, რომელიც არ არის საბაზრო განაკვეთი, მაგალითად, დაქირავებული პირისთვის სესხის მიცემა უპროცენტოდ, ან საბაზრო განაკვეთზე დაბალი საპროცენტო განაკვეთით. თუ შეთანხმება ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, საწარმომ ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება უნდა შეაფასოს მომავალი გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით, რომელიც დისკონტირებულია მსგავსი სავალო ინსტრუმენტისთვის გამოყენებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთით და განისაზღვრება თავდაპირველი აღიარებისას.

### შემდგომი აღიარება

შემდგომი აღიარების მიზნებისთვის, ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება ოთხ კატეგორიად:

- ფინანსური აქტივები ამორტიზირებული ღირებულებით (სასესხო ინსტრუმენტები)
- ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით, ჯამური მოგების ან ზარალის გადახურვით, სრული შემოსავლის ანგარიშგების გავლით (სასესხო ინსტრუმენტები)
- ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით, ჯამური მოგების ან ზარალის გადახურვის გარეშე, სრული შემოსავლის ანგარიშგების გავლით (კაპიტალის ინსტრუმენტები)
- ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით, მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით.

ეს კატეგორია ყველაზე დამახასიათებელია კომპანიისთვის. კომპანია აღრიცხავს ფინანსურ აქტივებს ამორტიზირებული ღირებულებით, თუ ქვემოთ მოცემული ორივე პირობა სრულდება:

- კომპანია ფლობს ფინანსურ აქტივს ბიზნეს მოდელის შესაბამისად, რათა მოახდინოს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომელიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხის და პროცენტის გადახდებს არსებულ ძირითად თანხაზე.

ფინანსური აქტივები, რომლებიც აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, შემდგომში იზომება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით (EIR) და ექვემდებარება გაუფასურებას.

მოგება, ან ზარალი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როდესაც მოხდება აქტივის აღიარების შეწყვეტა, შეცვლა ან გაუფასურება. კომპანიის ფინანსური აქტივები, რომლებიც აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით მოიცავს სავაჭრო მოთხოვნებს. სავაჭრო მოთხოვნები არის კლიენტებისგან მისაღები თანხები გაწეულ მომსახურებაზე და მიწოდებულ პროდუქციაზე საქმიანობის ჩვეულებრივ პირობებში. თუ თანხების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის განმავლობაში ან ნაკლებში, ისინი აღირიცხება, როგორც მიმდინარე აქტივები. სხვა შემთხვევაში აღირიცხება, როგორც გრძელვადიანი აქტივები.

## შპს „ქოულ.ჯი“

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

### ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივების კომპანიას ნაწილის) აღიარების შეწყვეტა (ანუ კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალური საწყისი ანგარიშგებიდან ამოღება) ხდება შემდეგ შემთხვევებში:

- ამოიწურა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლებების მოქმედების ვადა; ან
- კომპანიამ დათმო აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის მიღებული თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; ან (ა) კომპანიამ გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი; (ბ) კომპანიამ არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივებთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

### ფინანსური აქტივების გაუფასურება

საწარმომ ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უნდა განსაზღვროს, არსებობს თუ არა რაიმე ობიექტური მტკიცებულება იმ ფინანსური აქტივების გაუფასურების, რომლებიც შეფასებულია თვითღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება, საწარმომ დაუყოვნებლივ უნდა აღიაროს გაუფასურების ზარალი მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური აქტივების ან აქტივების ჯგუფის გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება მოიცავს ისეთ ემპირიულ მონაცემებს, რომლებიც აქტივის მფლობელისთვის გახდება ცნობილი გაუფასურების გამომწვევი შემდეგი მოვლენების შესახებ:

(ა) ემიტენტის ან მევალის მნიშვნელოვანი ფინანსური სიძნელეები;

(ბ) ხელშეკრულების პირობების დარღვევა, მაგალითად, პროცენტის ან ძირი თანხის გადაუხდელობა, ან ვადაგადაცილება;

(გ) საწარმო, დებიტორის ფინანსურ სიძნელეებთან დაკავშირებული ეკონომიკური ან იურიდიული მიზეზების გამო, დებიტორს სთავაზობს ისეთ დათმობებს, რომლებსაც სხვა შემთხვევაში არ შესთავაზებდა;

(დ) როდესაც მოსალოდნელი გახდება, რომ დებიტორთან დაკავშირებით დაიწყება გაკოტრების, ან სხვა სახის ფინანსური რეორგანიზაციის პროცესი; ან

(ე) ობიექტური ნიშნების არსებობა, რომლებიც იმაზე მიუთითებს, რომ შემცირდა ფინანსური აქტივების ჯგუფთან დაკავშირებული მომავალი ფულადი ნაკადები მათი საწყისი აღიარების შემდეგ, თუმცა ამგვარი შემცირების ოდენობის განსაზღვრა ჯგუფში შემავალი ცალკეული ფინანსური აქტივისთვის ჯერჯერობით შეუძლებელია. ამგვარ ნიშნებს განეკუთვნება, მაგალითად ქვეყნის ან რეგიონის არახელსაყრელი ეკონომიკური პირობები, ან დარგში მომხდარი არახელსაყრელი ცვლილებები.

## შპს „ქოულ.ჯი“

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

### ფინანსურ ვალდებულებები

#### თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ფინანსური ვალდებულებები პირველად აღიარდება, შესაბამისად საწარმომ ისინი უნდა შეაფასოს გარიგების ფასით (გარიგების დანახარჯების ჩათვლით, ისეთი ფინანსური ვალდებულებების გარდა, რომლებიც შემდგომში უნდა შეფასდეს რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით), თუ შეთანხმება, თავისი არსით, არ წარმოადგენს ფინანსურ ოპერაციას საწარმოსთვის (ფინანსური ვალდებულების დაფინანსება), ან მისი სახელშეკრულებო კონტრაქტისთვის (ფინანსური აქტივის დაფინანსება). შეთანხმება ფინანსურ ოპერაციად მიიჩნევა, თუ გადახდა გადავადებულია ბიზნესის ჩვეულებრივი პირობებისგან განსხვავებული პირობებით, როგორცაა, მაგალითად, საქონლის ან მომსახურების მყიდველისთვის უპროცენტო კრედიტის მიცემა, ან დაფინანსება ხდება ისეთი საპროცენტო განაკვეთით, რომელიც არ არის საბაზრო განაკვეთი, მაგალითად, დაქირავებული პირისთვის სესხის მიცემა უპროცენტოდ, ან საბაზრო განაკვეთზე დაბალი საპროცენტო განაკვეთით. თუ შეთანხმება ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, საწარმომ ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება უნდა შეაფასოს მომავალი გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით, რომელიც დისკონტირებულია მსგავსი სავალო ინსტრუმენტისთვის გამოყენებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთით და განისაზღვრება თავდაპირველი აღიარებისას.

#### შემდგომი შეფასება

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს საწარმომ ფინანსური ინსტრუმენტები უნდა შეაფასოს იმგვარად, როგორც განსაზღვრულია ქვემოთ, გარიგების დანახარჯების გამოქვითვის გარეშე, რომელიც შეიძლება წარმოიშვას ინსტრუმენტის გაყიდვისას, ან სხვა ფორმით გასვლისას: (ა) სავალო ინსტრუმენტები, უნდა შეფასდეს ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

სავალო ინსტრუმენტები, რომლებიც კლასიფიცირებულია, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, უნდა შეფასდეს გადასახდელი ან მისაღები ფულადი სახსრების ან სხვა სახის კომპენსაციის არადისკონტირებული ღირებულებით (ანუ გაუფასურების გამოკლებით) იმ შემთხვევის გარდა, როდესაც შეთანხმება შინაარსით ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს;

(ბ) სესხის მიღების ვალდებულება უნდა შეფასდეს თვითღირებულებით (რომელიც ზოგჯერ წარმოადგენს ნულს), გაუფასურების თანხის გამოკლებით;

(გ) არაკონვერტირებად პრივილეგირებულ აქციებში და არადაბრუნებად ჩვეულებრივ ან პრივილეგირებულ აქციებში განხორციელებული ინვესტიციები უნდა შეფასდეს შემდეგნაირად :

- (i) თუ აქციები საჯაროდ იყიდება ფასიანი ქაღალდების ბაზარზე, ან მისი რეალური ღირებულების საიმედოდ შეფასება სხვა მხრივ არის შესაძლებელი, მიზანშეუწონელი დანახარჯების, ან ძალისხმევის გარეშე, ინვესტიცია უნდა შეფასდეს რეალური

## **შპს „ქოულ.ჯი“**

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

- ღირებულებით, ხოლო რეალურ ღირებულებაში მომხდარი ცვლილებები აღიარდეს მოგებაში ან ზარალში; და
- (ii) ყველა სხვა ამგვარი ინვესტიცია უნდა შეფასდეს თვითღირებულებიდან გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით.

### **სავაჭრო და სხვა ვალდებულებები**

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებას იმ საქონლისა თუ მომსახურებისთვის, რომელიც კომპანიამ შეიძინა მისი მომწოდებლებისგან ჩვეულებრივი ბიზნეს ოპერაციებით. სავაჭრო მოთხოვნები კლასიფიცირდება, როგორც მიმდინარე ვალდებულებები, თუ გადახდის ვალდებულება არის ერთ წლამდე პერიოდში, თუ არა, როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები. ამჟამად კომპანიის მთლიანი სავაჭრო ვალდებულებების დაფარვა მოსალოდნელია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების თარიღიდან ერთ წლამდე პერიოდში და კლასიფიცირებულია, როგორც მიმდინარე ვალდებულებები.

სავაჭრო ვალდებულებები თავდაპირველი აღიარებისას ფასდება სამართლიანი ღირებულებით და შემდგომ პერიოდში ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

### **აღიარების შეწყვეტა**

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა ხდება, როდესაც მოხდება ნაკისრი ვალდებულების გაუქმება, გათავისუფლება ან ვადის გასვლა. როდესაც ხდება არსებული ფინანსური ვალდებულების ახლით ჩანაცვლება იგივე მსესხებლისგან მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან ხდება არსებული ფინანსური ვალდებულების პირობების მნიშვნელოვანი ცვლილება, მსგავსი გაცვლა ან მოდიფიკაცია აღიარდება, როგორც არსებული ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა და ახალი ვალდებულების აღიარება. სხვაობა შესაბამის საბალანსო ღირებულებებში აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

### **ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგაქვითვა**

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები გაიქვითება და ნეტო თანხა ნაჩვენებია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, იმ შემთხვევაში თუ მიმდინარე პერიოდში არსებობს იურიდიული ძალის მქონე უფლება, რომ მოხდეს აღიარებული თანხების ურთიერთგაქვითვა და არსებობს განზრახვა, რომ მოხდეს ვალდებულების გასწორება ან აქტივის რეალიზაცია ერთდროულად ნეტო თანხაზე.

### **ფინანსური ხარჯები**

კომპანიის ფინანსური ხარჯები მოიცავს:

- საპროცენტო ხარჯი;
- უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით განპირობებული შემოსულობა ან ზარალი ფინანსურ

## შპს „ქოულ.ჯი“

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

აქტივებსა და ფინანსურ ვალდებულებებზე;

- საპროცენტო შემოსავალი ან ხარჯი აღიარდება ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით. საპროცენტო ხარჯის აღიარება ხდება ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით.

„ეფექტური საპროცენტო განაკვეთი“ არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ადისკონტირებს სავარაუდო სამომავლო ფულად გადახდებს ან შემოსულობებს ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მოხმარების ვადის მიხედვით:

- ფინანსური ვალდებულების ამორტიზებულ ღირებულებაზე;
- უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით განპირობებული შემოსულობა ან ზარალი აღირიცხება წმინდა საფუძველზე, როგორც ფინანსური შემოსავალი ან ფინანსური ხარჯი, იმის გათვალისწინებით თუ სად აქვს ადგილი უცხოური ვალუტის მოძრაობას - წმინდა ამონაგების თუ წმინდა ზარალის პოზიციაში.

კვალიფიციური აქტივის შემენაზე, მშენებლობასა ან წარმოებაზე პირდაპირ მიკუთვნებადი ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები, ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით კაპიტალიზდება შესაბამის განსაკუთრებულ აქტივზე.

### ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები თავდაპირველი აღიარების დროს აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანას და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან. საწყისი აღიარების შემდგომ, თვითღირებულებიდან გამოკლებულია დაგროვილი ცვეთა და/ან გაუფასურების შედეგად აღრიცხული ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ცვეთის აღიარება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ხდება ძირითადი საშუალებების თითოეული ნაწილის სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადაზე ცვეთის დარიცხვის კლებადი ნაშთის მეთოდით, რადგან იგი ყველაზე მეტად ასახავს აქტივიდან მიღებულ სამომავლო ეკონომიკური სარგებლის

მოსალოდნელ ათვისებას. ძირითადი საშუალებების ცვეთი განაკვეთები წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

| აქტივის ჯგუფი        | ცვეთის განაკვეთი |
|----------------------|------------------|
| კომპიუტერული ტექნიკა | 20-33%           |

თავდაპირველად აღიარებული ამა თუ იმ ძირითადი საშუალების აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული მოგება თუ ზარალი, (რომელიც გამოითვლება, როგორც გასხვისებიდან წმინდა შემოსულობასა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა) აისახება მოგებაში ან ზარალში აქტივის აღიარების შეწყვეტისთანავე.

## **შპს „ქოულ.ჯი“**

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

აქტივის ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო გამოყენების ვადა და ცვეთის დარიცხვის მეთოდი გადაისინჯება ყოველწლიურად. საჭიროების შემთხვევაში კორექტირდება შესაბამისად.

### არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას ფასდება თვითღირებულებით. თავდაპირველი აღიარების შემდგომ, არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით, რასაც აკლდება დარიცხული ამორტიზაცია და გაუფასურებით გამოწვეული დანაკარგები, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ამორტიზაციის ვადებისა და მეთოდების გადახედვა ხდება ყოველი ფისკალური პერიოდის ბოლოს.

არამატერიალური აქტივების ცვეთის დარიცხვა ხდება კლებადი ნაშთის მეთოდის საფუძველზე 7-8% განაკვეთით. კომპანია არ ფლობს სასარგებლო გამოყენების შეუზღუდავი ვადის მქონე არამატერიალურ აქტივებს.

არამატერიალური აქტივის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მისი გამოყენებით ან გასხვისებით სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება. აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი ფასდება, როგორც გასხვისების შედეგად მიღებულ წმინდა შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა და მისი აღიარება ხდება იმ წლის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როდესაც შეწყდა აქტივის აღიარება.

### მარაგები

მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და მის წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივ სამეურნეო პროცესში სავარაუდო გასაყიდი ფასი, არსებული აქტივის გასაყიდი ფასს გამოკლებული აქტივის დასრულებასა და გაყიდვასთან დაკავშირებული შეფასებითი დანახარჯები. მარაგების თვითღირებულება ეყრდნობა საშუალო შეწონილ მეთოდს და მოიცავს შემენის ხარჯებს, ტრანსპორტირების ხარჯებს, საიმპორტო საბაჟო გადასახადს და სხვა გადასახადებს.

### მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი წარმოდგენილია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ან დასკვნის თარიღისთვის ამოქმედებული კანონმდებლობის მიხედვით. მოგების გადასახადი წარმოადგენს მიმდინარე გადასახადს და აღიარდება მოგება ზარალის ანგარიშგებაში, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ის პირდაპირ აღიარებულია კაპიტალში, რადგანაც უკავშირდება ოპერაციებს, რომლებიც იმავე ან განსხვავებულ პერიოდში, ასევე პირდაპირ კაპიტალში აღიარდება.

მიმდინარე მოგების გადასახადი არის მიმდინარე ან გასული პერიოდის დასაბეგრი მოგების გადასახდელი ან ზარალის შესაბამისი მოგების გადასახადის აღდგენადი თანხა. იმ შემთხვევაში თუ ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნება ხდება საგადასახადო დეკლარაციების ჩაბარებამდე, დასაბეგრი

## **შპს „ქოულჯი“**

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

*(ქართულ ლარში)*

მოგება ან ზარალი ეფუძნება შეფასებებს. გადასახადები, მოგების გარდა, აღირიცხება ადამინისტრაციულ და სხვა საოპერაციო ხარჯებში.

გადავადებული მოგების გადასახადი აღარ მიესადაგება ფინანსურ ანგარიშგებებს, იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოს ახალი საგადასახადო კოდექსით აღარ გამოიყენება.

გადავადებული საგადასახადო შემოსავალი აღარ არის შესაბამისი ფინანსურ ანგარიშგებისთვის განახლებული საგადასახადო კოდექსის გამო.

### **საწესდებო კაპიტალი**

საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება დამფუძნებლების გადაწყვეტილებით. აღიარებაც ხდება სამართლიანი ღირებულებით შენატანის განხორციელების მომენტში, როგორც კომპანიაში დამფუძნებლის შენატანი.

### **სამართლიანი ღირებულების შეფასება**

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად ან გადაიხდება ვალდებულების გაცემის შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში, შეფასების თარიღისთვის.

აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულება ფასდება იმ ვარაუდების გამოყენებით, რომელსაც ბაზრის მონაწილეები გამოიყენებენ აქტივის ან ვალდებულების ფასის განსაზღვრისას, იმ ვარაუდით, რომ ბაზრის მონაწილეები იმოქმედებენ საუკეთესო ეკონომიკური ინტერესებიდან გამომდინარე.

კომპანია იყენებს შეფასების მეთოდებს, რომელიც შესაფერისია აღნიშნულ გარემოებებში და რომელთან დაკავშირებითაც არსებობს სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის საჭირო მონაცემები.

ყველა აქტივი და ვალდებულება, რომელთა სამართლიანი ღირებულება შეფასებულია ან წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში, დაჯგუფებულია სამართლიანი ღირებულების ქვემოთ მოცემული იერარქიის მიხედვით, ყველაზე დაბალი დონის მდგენელის საფუძველზე, რომელიც მნიშვნელოვანია სამართლიანი ღირებულების შეფასებისას:

დონე 1 - იდენტური აქტივების ან ვალდებულებების შეფასებით მოქმედ ბაზრებზე კოტირებული (არაკოტირებული) ფასებით;

დონე 2 - შეფასების მეთოდით, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მდგენელის პირდაპირი და არაპირდაპირი განსაზღვრა;

დონე 3 - შეფასების მეთოდით, რომელთა მიხედვითაც შეუძლებელია სამართლიანი ღირებულების შესაძლებლობისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მდგენელის განსაზღვრა.

## **3 IASB-ს მიერ გამოცემული ახალი ან განახლებული სტანდარტები და განმარტებები**

*განახლებული სტანდარტები და განმარტებები*

## შპს „ქოულ.ჯი“

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

2025 წლის 27 თებერვალს საერთაშორისო ანგარიშგების სტანდარტების საბჭომ (IASB) გამოაქვეყნა IFRS მცირე და საშუალო კომპანიებისთვის (IFRS for SMEs) სტანდარტის მესამე გამოცემა, რომელიც ასახავს სტანდარტის მეორე სრულყოფილ გადახედვას.

მესამე გამოცემაში ძირითადი განახლებები შეეხო შემოსავლის აღრიცხვის (მუხლი 23), სამართლიანი ღირებულების შეფასების (მუხლი 12), ფინანსური ინსტრუმენტების (მუხლი 11), ბიზნეს ერთეულებსა და კონსოლიდაციას (მუხლები 19 და 9) და სხვა პრინციპებს.

ახალი სტანდარტი იქნება სავალდებულო 2027 წლის 1 იანვრიდან წელიწადისთვის, თუმცა შესაძლებელია მისი დაწყებამდე მიღება.

კომპანია გადახედავს და განიხილავს მესამე გამოცემის სტანდარტის შესაძლო ადაპტაციას თავის მომავალ ფინანსურ ანგარიშგებებში.

## 4 ფული და ფულის ეკვივალენტები

კომპანიას ფული და ფულის ეკვივალენტები შედგება ქართულ ბანკებში მიმდინარე ანგარიშებზე განთავსებული თანხებისგან.

|                                        | 31-დეკ-2024   | 31-დეკ-2023    |
|----------------------------------------|---------------|----------------|
| ფული და ფულის ექვ. რეზიდენტ ბანკში     | 72,112        | 576,305        |
| <b>სულ ფული და ფულის ეკვივალენტები</b> | <b>72,112</b> | <b>576,305</b> |

|                                        | 31-დეკ-2024   | 31-დეკ-2023    |
|----------------------------------------|---------------|----------------|
| ქართული ლარი (GEL)                     | 38,019        | 575,817        |
| აშშ დოლარი (USD)                       | 34,093        | 4,878          |
| <b>სულ ფული და ფულის ეკვივალენტები</b> | <b>72,112</b> | <b>576,305</b> |

არ არის არსებითი განსხვავება ფულის და ფულის ეკვივალენტების სამართლიან და საბალანსო ღირებულებებს შორის.

## 5 მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან

|                                                     | 31-დეკ-2024      | 31-დეკ-2023      |
|-----------------------------------------------------|------------------|------------------|
| მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან            | 5,529,561        | 2,478,179        |
| <b>სულ მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან</b> | <b>5,529,561</b> | <b>2,478,179</b> |

10 -25 გვერდებზე თანდართული შენიშვნები წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

**შპს „ქოულ.ჯი“**

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

**6 ძირითადი საშუალებები**

|                                     | კომპიუტერული<br>ტექნიკა | სულ            |
|-------------------------------------|-------------------------|----------------|
| <b>ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერს</b> | <b>6,620</b>            | <b>6,620</b>   |
| დამატება                            | 96                      | 96             |
| გასვლა                              | -                       | -              |
| <b>ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს</b> | <b>6,620</b>            | <b>6,620</b>   |
| დამატება                            | 6,316                   | 6,316          |
| გასვლა                              | -                       | -              |
| <b>ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბერს</b> | <b>12,936</b>           | <b>12,936</b>  |
| <b>დაგროვილი ცვეთა</b>              |                         |                |
| <b>ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერს</b> | <b>(2,299)</b>          | <b>(2,299)</b> |
| დამატება                            | (1,324)                 | (1,324)        |
| გასვლა                              | -                       | -              |
| <b>ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს</b> | <b>(3,623)</b>          | <b>(3,623)</b> |
| დამატება                            | -                       | -              |
| გასვლა                              | -                       | -              |
| <b>ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბერს</b> | <b>(3,623)</b>          | <b>(3,623)</b> |
| <b>ნარჩენი ღირებულება</b>           |                         |                |
| <b>2022 წლის 31 დეკემბერს</b>       | <b>4,321</b>            | <b>4,321</b>   |
| <b>2023 წლის 31 დეკემბერს</b>       | <b>2,997</b>            | <b>2,997</b>   |
| <b>2024 წლის 31 დეკემბერს</b>       | <b>9,313</b>            | <b>9,313</b>   |

**7 გაცემული სესხები**

|                             | 31-დეკ-2024       | 31-დეკ-2023       |
|-----------------------------|-------------------|-------------------|
| სესხის ძირი                 | 49,771,605        | 34,630,515        |
| დარიცხული პროცენტები        | 10,237,666        | 6,878,873         |
| <b>სულ გაცემული სესხები</b> | <b>60,009,271</b> | <b>41,509,388</b> |

## შპს „ქოულ.ჯი“

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

|                               | 31-დეკ-2024       | 31-დეკ-2023       |
|-------------------------------|-------------------|-------------------|
| აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში | 60,009,271        | 41,509,388        |
| <b>სულ გაცემული სესხები</b>   | <b>60,009,271</b> | <b>41,509,388</b> |

2024 წლის 31 დეკემბრისთვის, კომპანია სარგებლობლობს საკრედიტო ხაზით შპს საქნახშირ"-თან გაფორმებული საკრედიტო ხელშეკრულების ფარგლებში, რომელსაც ვადა 2030 წლის 1 ივნისს გასდის და დაკავშირებული გამოუყენებელი საკრედიტო ხაზი შეადგენს 1,317,992 აშშ დოლარს (2023: 7,135,712 მილიონი აშშ დოლარი). სესხის საპროცენტო განაკვეთი შეადგენს 8 %.

## 8 მიღებული სესხები

|                             | 31-დეკ-2024       | 31-დეკ-2023      |
|-----------------------------|-------------------|------------------|
| სესხის ძირი                 | 12,916,125        | 5,423,578        |
| დარიცხული პროცენტები        | 1,036,290         | 314,019          |
| <b>სულ გაცემული სესხები</b> | <b>13,952,415</b> | <b>5,737,597</b> |

2024 წლის 31 დეკემბრისთვის, კომპანიას ჰქონდა გამოუყენებელი საკრედიტო ხაზი 7,242,044 აშშ დოლარის ოდენობით, შპს "სტილ ინტერნეიშენელ ტრეიდინგ კომპანი"-თან გაფორმებული საკრედიტო ხელშეკრულების ფარგლებში, რომელსაც ვადა 2030 წლის 1 მაისს გასდის (2023: 9,669,956 აშშ დოლარი). სესხის საპროცენტო განაკვეთი შეადგენს 8 %.

2024 წლის 31 დეკემბრისთვის, ასევე კომპანიას აქვს მიღებული სესხები ქართული ბანკებისგან, რომლის ნაშთები შეადგენს 1,400,000 და 1,706,141 ლარს (2023: 1,400,000 და 1,615,800 ლარი) საპროცენტო განაკვეთები შეადგენს 12 % და 10 % შესაბამისად.

## 9 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

|                                                | 31-დეკ-2024      | 31-დეკ-2023      |
|------------------------------------------------|------------------|------------------|
| ვალდებულებები ადგილობრივი მომწოდებლების მიმართ | 5,431,755        | 2,904,470        |
| <b>სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები</b>       | <b>5,431,755</b> | <b>2,904,470</b> |

## შპს „ქოულ.ჯი“

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

### 10 საგადასახადო ვალდებულებები

|                                   | 31-დეკ-2024   | 31-დეკ-2023   |
|-----------------------------------|---------------|---------------|
| მოგების გადასახადი                | 644           | (263)         |
| დამატებული ღირებულების გადასახადი | 22,675        | 28,257        |
| იმპორტის გადასახადი               | -             | (12,670)      |
| <b>სულ საგადასახადო აქტივები</b>  | <b>23,319</b> | <b>15,324</b> |

### 11 საწესდებო კაპიტალი

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის საწესდებო კაპიტალი შეადგენს 0 ლარს (2023: 0 ლარი).

### 12 შემოსავალი რეალიზაციიდან

|                                      | 2024              | 2023              |
|--------------------------------------|-------------------|-------------------|
| შემოსავალი ადგილობრივი რეალიზაციიდან | 32,672,137        | 27,733,280        |
| შემოსავალი უცხოური რეალიზაციიდან     | 7,728,132         | 44,951,445        |
| <b>სულ შემოსავალი რეალიზაციიდან</b>  | <b>40,400,270</b> | <b>72,684,725</b> |

### 13 რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

| რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება               | 2024              | 2023              |
|-----------------------------------------------------|-------------------|-------------------|
| რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება (ადგილობრივი) | 29,001,680        | 25,701,112        |
| რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება (უცხოური)     | 7,194,438         | 35,712,264        |
| <b>რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება</b>        | <b>36,196,118</b> | <b>61,413,376</b> |

## შპს „ქოულ.ჯი“

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

### 14 საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

|                                                     | 2024           | 2023           |
|-----------------------------------------------------|----------------|----------------|
| ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები                | 262,686        | 190,490        |
| შრომის ანაზღაურება                                  | 83,006         | 90,192         |
| დაზღვევა                                            | 13,321         | 9,960          |
| ბანკის საკომისიო ხარჯი                              | 32,885         | 27,086         |
| ცვეთის ხარჯი                                        | 78,061         | 1,324          |
| სხვა ადმინისტრაციული ხარჯები                        | 24,355         | 38,686         |
| <b>სულ ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი</b> | <b>494,314</b> | <b>357,738</b> |

### 15 არასაოპერაციო ხარჯები

| არასაოპერაციო ხარჯები            | 2024             | 2023           |
|----------------------------------|------------------|----------------|
| საპროცენტო ხარჯები               | 1,214,840        | 532,980        |
| სხვა არასაოპერაციო ხარჯები       | 172,605          | -              |
| <b>სულ არასაოპერაციო ხარჯები</b> | <b>1,387,445</b> | <b>532,980</b> |

### 16 არასაოპერაციო შემოსავლები

| არასაოპერაციო ხარჯები            | 2024             | 2023             |
|----------------------------------|------------------|------------------|
| საპროცენტო შემოსავლები           | 2,802,656        | 2,605,478        |
| სესხის პატიება                   | 2,670,245        | 3,893,000        |
| სხვა არასაოპერაციო შემოსავლები   | 218,950          | -                |
| <b>არასაოპერაციო შემოსავლები</b> | <b>5,691,851</b> | <b>6,498,478</b> |

### 17 მოგების გადასახადი

2016 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა საქართველოს საგადასახადო კოდექსში მნიშვნელოვანი ცვლილებები, რომლებიც ძირითადად ეხება მოგების გადასახადით დაბეგვრას. სხვა დაბეგვრის რეჟიმებთან ერთად, ცვლილებებში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პუნქტი არის ის, რომ დაბეგვრას ექვემდებარება მხოლოდ მფლობელებს შორის განაწილებული მოგება და

## **შპს „ქოულ.ჯი“**

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

რეინვესტირებული მოგება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით. ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან.

### **18 გაუთვალისწინებელი გარემოებები**

საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და მას ახასიათებს სასამართლო გადაწყვეტილებებისა და დებულებების ხშირი ცვლილება. საგადასახადო ნორმები ხშირად ბუნდოვანი და წინააღმდეგობრივია და სხვადასხვა საგადასახადო ორგანოს მიერ სხვადასხვაგვარად განიმარტება. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში, საგადასახადო ორგანოს არ შეუძლია კომპანიას დააკისროს დამატებითი საგადასახადო ვალდებულება, ჯარიმა ან საურავი, თუ სამართალდარღვევიდან სამი წელია გასული.

ზემოთხსენებული ვითარებები წარმოქმნის საგადასახადო რისკებს, რომლებიც საქართველოში უფრო არსებითია, ვიდრე სხვა ქვეყნებში. ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ იგი ადეკვატურად ასრულებს საგადასახადო ვალდებულებებს, ხელმძღვანელობს რა საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციების, ოფიციალური აქტებისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების შესაბამისად. მიუხედავად ამისა, შესაბამისი საგადასახადო ორგანოების კომპანიისგან განსხვავებულმა პოზიციამ შესაძლოა არსებითი გავლენა იქონიოს წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე.

### **19 გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან**

ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან წარმოადგენს კომპანიის მენეჯმენტისთვის გადახდილ ხელფასებს, რომელიც შეადგენს 2024 წელს 15,306 ლარს (2023:15,306 ლარს).

### **20 მოვლენები საანგარიშო პერიოდის შემდეგ**

ბალანსის თარიღის შემდგომ ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენებს, რომელიც გამოიწვევდა დამატებით შესწორებებს და ცვლილებებს აღნიშნულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

\*\*\*

## მმართველობის ანგარიშგება კომპანიის საქმიანობის მიმოხილვა

### 1. კომპანიის ბიზნეს განვითარება:

შპს „ქოულ.ჯი“ (შემდგომში „კომპანია“) არის 2019 წლის 14 ნოემბერს, საქართველოში რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება.

კომპანიის 100% -ანი წილის მფლობელი და დირექტორი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არის ზაზა ბარამიძე.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა ქვანახშირის რეალიზაცია, როგორც საქართველოს ტერიტორიაზე, ასევე ექსპორტზე გატანა.

კომპანიის შემოსავლები 2024 წელს 2023 წელთან შედარებით 44 %-ით შემცირდა.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა შეადგენს 7 თანამშრომელს.

კომპანიამ დააგროვა გამოცდილება, თუ როგორ წარმართოს საქმიანობა ქვანახშირის რეალიზაციის სფეროში და შექმნას სტრატეგიული გეგმა და მოქნილი სავაჭრო პოლიტიკა.

### 2. შპს „ქოულ.ჯი“ -ს სამომავლო განვითარების გეგმა:

შპს „ქოულ.ჯი“ გეგმავს საქმიანობის არსებული მასშტაბების განვითარებას.

### 3. კვლევისა და განვითარების მიმოხილვა:

კომპანიას 2024 წლის განმავლობაში არ ჩაუტარებია კვლევები.

### 4. ფილიალები

შპს „ქოულ.ჯი“ არ ფლობს ფილიალებს.

### 5. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები:

ინფორმაცია კომპანიის ძირითადი რისკების შესახებ იხილეთ ფინანსურ ანგარიშგებაში.

### 6. ინფორმაცია საკუთარი აქციების გამოსყიდვის შესახებ:

კომპანიას აქციები არ აქვს.

### 7. ბიზნესის საოპერაციო გარემო:

საქმიანობის ხასიათიდან გამომდინარე, ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებით შეიძლება იდგეს სხვადასხვა რისკების წინაშე. რისკის უმთავრესი სახეებია: საბაზრო რისკი, საკრედიტო რისკი და ლიკვიდურობის რისკი.

**საკრედიტო რისკი** - საკრედიტო რისკი დაკავშირებულია ზემოთ მოცემული ფინანსური აქტივების გაუფასურებასთან. კომპანია განიცდის საბაზრო რისკის მიმართ მგრძოზიარობას.

**საბაზრო რისკი** - გამომდინარეობს (ა) საპროცენტო რისკში (ბ) სავალუტო რისკში, რომელზეც ზეგავლენას ახდენს ბაზარზე მიმდინარე ზოგადი და კონკრეტული ცვლილებები.

**სავალუტო რისკი** - კომპანიაზე ზემოქმედებას ახდენს მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულადი სახსრების მოძრაობაზე სავალუტო გაცვლითი კურსის დომინანტურ დონეებში მომხდარი ცვლილებები.

### **ლიკვიდურობის რისკი**


ლიკვიდურობის რისკი წარმოადგენს რისკს, რომ კომპანია ვერ შეძლებს მის მიერ აღებული ფინანსური ვალდებულების, გასტუმრებას. კომპანიის აქვს ყოველდღიური მოთხოვნები მის ფულად რესურსებზე. ხელმძღვანელობა აკონტროლებს კომპანიის ფულადი ნაკადების ანგარიშგების ყოველთვიურ ბიუჯეტს და ახდენს მის პროგნოზირებას.

კომპანიის ლიკვიდურობის პორტფელი მოიცავს ფულს და ფულის ექვივალენტებს. ხელმძღვანელობა ადგენს ფულის და საბანკო დეპოზიტების დაახლოებით ლიკვიდურობის პორტფელს გარდა შეზღუდული თანხებისა რომელთა გამოყენებაც შეიძლება ერთი დღის მანძილზე რათა მოხდეს წინასწარ განუსაზღვრელი ლიკვიდურობის მოთხოვნების დაკმაყოფილება.

### **კაპიტალის მართვა**

კაპიტალის მართვას აწარმოებენ კომპანიის მფლობელები იმის და მიხედვით თუ როგორი მოთხოვნები აქვთ მათ კაპიტალის ოპტიმალურ სტრუქტურასთან დაკავშირებით. კომპანია აწარმოებს კაპიტალის სტრუქტურის მართვას მხოლოდ საქართველოში არსებული საკანონმდებლო მოთხოვნების გამო.

შპს“ქოულ.ჯი“-ს დირექტორი  
თარიღი: 6 ნოემბერი, 2025

  
ზაზა ბარამიძე  
(ხელმოწერა)  
თარიღი: 6 ნოემბერი 2025 წელი